



# ოთხი ათწლეული კვად ბათუმზე

სულხან სალაძე

დროში მოგზაურობა რომ შეიძლებოდეს, ერთ-ერთი პირველი, სადაც წავიდოდი, ძველი ბათუმია. უფრო ზუსტად, ქრელი, მრავლისმნახველი და ნაკლებად ცნობილი ბათუმი.

ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობით დროში მოგზაურობა შეუძლებელია, თუმცა ძველი რუკები, ჩანაწერები და სხვა წყაროები ამ სურვილის დაკმაყოფილებას მეტ-ნაკლებად შესაძლებელს ხდის. ერთი შეხედვით, შენ მხოლოდ ძველ ამბებს ეცნობი, დანარჩენი ყველაფერი კადრებად ცოცხლდება და დროში მოგზაურობა იწყება.

ეს ამბავი იმ ბათუმის ნახვის მცდელობაა, რომლის შესახებაც ცოტა რამ თუ ვიცით. ქალაქის ძველი სახელწოდებები; ცნობილი ევროპელი კარტოგრაფები და მათი რუკები; ნაცნობი და უცნობი მოგზაურების ჩანაწერები და ჩანახატები. გადავწყვიტე, ძველ ბათუმზე თხრობისას არაერთი ადამიანი დავიმგზავრო წარსულიდან. მარტო ვერას გავეხდები, რომ არა ისინი, არც მოგზაურობა გამოვიდოდა და ვერც ამ ამბებს მოგიყვებოდი...

## ამბავი პირველი – „არს ბათოში“

ბათუმზე საუბრისას, თავდაპირველად, ვახუმტი ბატონიშვილზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. მართალია, გასაგებ მიზეზთა გამო, ბათუმის შესახებ ვახუმტი ვრცლად არაფერს ამბობს, თუმცა მისი ჩანაწერი საგულისხმო და მნიშვნელოვანია:



ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757)

„ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩდილოთ კიდურზე არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი“.

ბათუმთან ერთად ვახუშტი იქვე ახსენებს გონიას (გონიო), რომელიც ჭოროხის გადაღმა მხარეს, სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქი და ციხე იყო. ხოლო ჭოროხის ჩრდილოეთით – სოფელ ერგეს. სწორედ ბათუმის, გონიოს და ერგეს შესახებ წერდა:

„და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახი მალღარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიათი მრავლად“.

ვახუშტი ბატონიშვილის მეცადინეობით, ბათუმის ნახვა ფრანგი ასტრონომის და კარტოგრაფის ჟოზეფ ნიკოლა დელილის მიერ ვახუშტის გარდაცვალებიდან ცხრა წლის შემდეგ, 1766 წელს – პარიზში და იტალიელი კარტოგრაფის პაულო სანტინის მიერ 1775 წელს – ვენეციაში გამოცემულ “CARTE DE LA GEORGIE“-ის რუკებზეც შეიძლება. მეტი სიზუსტისათვის, მართალია, რუკის ავტორი ჟოზეფ ნიკოლა დელილია, თუმცა ყველამ იცის, რომ სინამდვილეში, პარიზსა და ვენეციაში გამოცემული რუკები ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს“ რუკის დახვეწილი ფრანგული ვერსიაა.




ვახუშტი ბატონიშვილის რუკა, საქართველოს სამეფო, 1735

ქართველი კარტოგრაფის და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ბათუმის ნაცვლად ნახსენებ ტოპონიმ ბათომის გამოყენება გავრცელებული იყო. ქალაქს ბათომის სახელით განსაკუთრებით ხშირად მოიხსენიებდნენ XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მესამედში, მანამ, სანამ 1936 წლის 17 აგვისტოს ოფიციალურად არ ეწოდა ბათუმი.

**აზგაპი მეორე – „LOVATI“; „LONATI“...**

რაც არ უნდა უცნაური იყოს, ბათომი არ არის ერთადერთი ტოპონიმი, რომლითაც ძველ დროში ბათუმს მოიხსენიებდნენ. საქმე ისაა, რომ XVI-XVIII საუკუნეების ევროპელი კარტოგრაფები ბათუმის აღმნიშვნელ ტოპონიმად რუკებზე ხშირად იყენებდნენ სახელებს: „LOVATI“; „LONATI“; „VATHI“; „VATI“ და „VARTLUI“. ყველა იმ




ჟოზეფ ნიკოლა დელილი (1688-1768)

## საქართველო

რუკის აქ მოხმობა, სადაც ბათუმის აღმნიშვნელ ამ სახელწოდებებს ვხვდებით, შორს ნაგვიყვანდა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი რუკა და კარტოგრაფი მაინც უნდა ვახსენოთ. ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველი უდავოდ არის XVI საუკუნის გამოჩენილი იტალიელი კარტოგრაფი ჯაკომო გასტალდი, ვინც 1548 წელს ვენეციაში გამოსცა „პტოლემეაოსის გეოგრაფია“ (PTOLEMEO LA GEOGRAFIA). გასტალდის რუკებიდან ჩვენთვის საინტერესოა ცნობილი „სპარსეთის ახალი რუკა“ (PERSIA NOVA TABULA). რუკის მარჯვენა ზედა ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროსთან, მთავრული ასოებით წარწერილია: „LOVATI“ და იქვე ქალაქის/ციხის აღმნიშვნელი ნიშანია დატანილი.

ბათუმის სახელად ტოპონიმ „LONATI“-ს იყენებს ფრანგული კარტოგრაფიის მამად წოდებული XVII საუკუნის ფრანგი კარტოგრაფი ნიკოლა სანსონი. 1652-1656 წლებში მისი გამოცემული ოთხტომიანი ატლასი მოიცავს ცნობილ რუკას, სახელწოდებით, „TURKOMANIA, GEORGIA, COMMANIA“. ნიკოლა სანსონის მსგავსად, ამავე სახელწოდებით მოიხსენიებს ბათუმს ნიკოლა სანსონის მოსწავლე და სიძე – კიდევ ერთი ფრანგი კარტოგრაფი – პიერ დიუ ვალი, 1670 წელს გამოცემულ ფრანგულენოვან „GEORGIE“-ის რუკაზე.



ნიკოლა სანსონი (1660-1667)



პაულო სანტინის მიერ 1775 წელს ვენეციაში გამოცემული „Carte de la Georgie et Des Pays Situes Entre La Mer Noire et La Mer Caspienne“

ბათუმის აღმნიშვნელად სიტყვა „VARTLUI“-ს იყენებს ფრანგი კარტოგრაფი ალენ მანსონ მალე, ვინც 1683 წელს პარიზში გამოცემულ „სამყაროს აღწერაში“ („Description de L'Univers“) საქართველოსა და სომხეთს ცალკე რუკა მიუძღვნა. სხვათა შორის, ეს რუკა იმითაც არის საინტერესო, რომ, სავარაუდოდ, ალენ მალე სწორედ საქართველოსა და სომხეთს მიიჩნევდა ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე ქრისტიანულ ქვეყნებად, რომლებზეც გადიოდა საზღვარი ევროპასა და აზიას შორის. ამის დასტურად, მალეს ცნობილი რუკის დეკორატიული ჩარჩოს ზემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ გაკეთებული მინაწერები შეიძლება მოვიშველიოთ: „EVROPE“ – „TARTARIE“.

ძველ ევროპულ რუკებზე საუბრის დასასრულს და XIX საუკუნის ბათუმზე საუბრის დაწყებამდე ისიც უნდა ითქვას, რომ ბათუმთან და მთლიანად საქართველოსთან დაკავშირებით, XVI-XVIII საუკუნეების ევროპული კარტოგრაფიის მნიშვნელობის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, გეოგრაფიული ერთეულები სათანადო ადგილას არ არის დატანილი. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არც ბათუმის მდებარეობაა, რაც ბათუმთან მიმართებით ამ რუკების მნიშვნელობას სულაც არ აკნინებს.



**ამგავი მესამე – ფრანგები და ბელ-გიელი**

XIX საუკუნის ბათუმის შესახებ თხრობა ტრაპიზონში საფრანგეთის კონსულის პიერ დიუპრეს ჩანაწერებით უნდა დავიწყოთ. მან ბათუმი 1807 წელს მოიხილა. დიუპრეს დროინდელ ქალაქში ორი ათასამდე მცხოვრები ყოფილა. ბათუმი თურმე დიდ სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. მიუხედავად ბათუმის მოხერხებული მდებარეობისა, ვაჭრობა უმნიშვნელო ჰქონიათ. ბაზარში დუქნების რაოდენობა 50-ს აღწევდა.



**ალან მანსონ მალი (1630-1706)**

გემები და ხომალდები, რომლებიც ბათუმში დაცურავდნენ, ქალაქში, ძირითადად, რკინას, მარილს, საპონს და მოსახლეობისათვის საჭირო ფართლელულს ეზიდებოდნენ.

დიუპრეს მოგზაურობიდან მალე ბათუმს რუსეთის არმიის ოფიცერი, ბელგიური წარმოშობის ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე სტუმრობდა და, კაცმა რომ თქვას, თითქმის იგივე უნახავს, რაც დიუპრეს. როტიეს დროინდელი ქალაქი ერთ გრძელი ხის დახლებიან ბაზარს წარმოადგენდა, რომელსაც განიერი ქუჩა კვეთდა. ხალხი თურმე მხოლოდ დღის განმავლობაში ჩანდა, რადგანაც მოსახლეობა გაფანტულად ცხოვრობდა ბათუმის მიდამოებში არსებულ მთის ფერდობებსა და ბზით დაბურულ ტყეებში.

როტიეს მოგზაურობის შემდეგ, XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, ბათუმი ფრანგმა ექიმმა ჟიულ-შარლ ტეიულმა მოინახულა. ის იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, ვისთვისაც ბათუმი საქართველოს პირველი ქალაქი იყო, რომლის ნახვაც ტრაპიზონიდან საქართველოში გემით მოსულმა შეძლო. თანაც, ეს 1877-1878 წლე-

**ალან მანსონ მალი რუკა, საქართველო და სომხეთი, 1683**



ბის რუსეთ-ოსმალეთის ომამდე ბევრად ადრე ხდებოდა და იმ დროისათვის ბათუმი ჯერ ისევ ოსმალეთს ეჭირა.

ტიეულის თანახმად, ბათუმი მცირე რესურსების და მნიშვნელობის ადგილს წარმოადგენდა და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მხოლოდ სოფლის სტატუსი ექნებოდა. თუმცა, ფრანგ ექიმს ეჭვი არ ეპარებოდა ბათუმის მომავალში და ამის უპირველს მიზეზად ქალაქის ნავსადგურის სიღრმეს და სანდოობას უსვამდა ხაზს.

ჟიულ-შარლ ტეიული არ ცდებოდა. მისი მოგზაურობიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1853 წელს, ყირიმის ომი დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული, ბათუმის, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. პარალელურად, ევროპულ ილუსტრირებულ პრესაში ბათუმის პანორამული ხედები გამოჩნდა, ყველაზე ხშირად – ფრანგულ „l'illustration journal universel“-სა და ინგლისურ „The Illustrated London News“-ში. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის პირველი ევროპული გრაფიურები, ისევე, როგორც საქართველოს შავი ზღვისპირეთის სხვა ქალაქების ჩანახატები, ილუსტრირებულ ევროპულ პრესას უკავშირდება.

**ამგავი მეოთხე – 1873 წლის 4-10 აგვისტო**

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პირველი 70 წლის განმავლობაში ბათუმს არაერთი მოგზაური თუ სხვა მხრივ დაინტერესებული პირი სტუმრობდა, მათი ჩანაწერების უმრავლესობა მაინც ფრაგმენტულია. მათგან განსხვავებით,

# L'ILLUSTRATION, JOURNAL UNIVERSEL.



L'illustration Journal Universel – პირველი ყოველ-კვირეული ფრანგული ილუსტრირებული გაზეთი, გამოიცემოდა 1843-1944 წლებში



დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)

ოსმალეთის მმართველობის დროინდელი ბათუმის შესახებ ყველაზე ვრცელი და გულუხვი ცნობები ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის – დიმიტრი ბაქრაძის ჩანაწერებშია. შესაბამისად, ძველ ბათუმში მოგზაურობის ყველაზე საინტერესო ნაწილიც მას უკავშირდება.

დიმიტრი ბაქრაძე ბათუმში 1873 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩავიდა. იმ დროს ბათუმში ჩოლოქს გაღმიდან მოხვედრა არც ისე მარტივი იყო, თუმცა დიდი ნვალებისა და მონდომების შედეგად, ბაქრაძემ მაინც შეძლო ბათუმში ჩასვლა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ბაქრაძე ბათუმში დიდი ხნით გაჩერებას არ აპირებდა. მის უპირველეს მიზანს აჭარის მონახულება წარმოადგენდა. როგორც თავად აღნიშნავდა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ბათუმში საკმაოდ დიდხანს – 4-დან 10 აგვისტომდე მოუწია გაჩერება. ამის ერთი მიზეზი აგვისტოს წვიმიანი ამინდები ყოფილა, მეორე – ფაშასთან აუდიენცია და აჭარაში მოგზაურობის დაწყების გაჭიანურება. მართალია, არქეოლოგი ნუხდა, რომ ზემო და ქვემო აჭარის მონახულება უგვიანდებოდა, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა – ბათუმში „ჩარჩენის“ წყალობით, ქალაქის შესახებ საინტერესო, მრავალსმეტყველი და ერთმანეთზე უკეთესი ჩანაწერები დატოვა.

დიმიტრი ბაქრაძის დროინდელი ბათუმი, ძირითადად, დღევანდელ სანაპიროზე გადიოდა და სულ თითო-ოროლა ქუჩას მოიცავდა. შესაბამისად,

სად, არ არის გასაკვირი, რომ ქობულეთიდან ბათუმში ჩასული არქეოლოგი ნავმისადგომთან, ახალციხელი სომხის – სტეფანე დადებოვის მაღაზიის ზედა სართულზე დაბინავდა. როგორც ჩანს, მაღაზიის პირველ სართულზე სტეფანე ვაჭრობდა ხოლო მეორე სართულზე თავად ცხოვრობდა და თან ოთახებს აქირავებდა. დიმიტრის მონათხრობის მიხედვით, სტეფანე დადებოვის სავაჭრო გამოცდილება ბათუმში უკვე 15 წელზე მეტს ითვლიდა. იგი ოსმალური მმართველობის ქვეშ მყოფ ქალაქში ნაირ-ნაირი ევროპული სასმელებით ვაჭრობდა. ბაქრაძე არაფერს ამბობს, თუ რამდენად სარფიანი იყო მაშინდელ ბათუმში ევროპული სასმელებით ვაჭრობა, მაგრამ ფაქტი თავისთავად საინტერესოა.

დიმიტრი ბაქრაძემ თადარიგი ბათუმში მისვლამდე ბევრად ადრე დაიჭირა და შესაბამისად, ქალაქში ჩასვლიდან მეორე დღეს, დილის 9 საათზე, წარმოშობით ლაზმა ბათუმის მუდირმა, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად, არქეოლოგი ფაშას წარუდგინა. ფაშა 70 წლის კონსტანტინოპოლელი თურქი იყო და XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან განაგებდა მთელი ლაზისტანის საფაშოს.

ფაშასთან გამართული პირველი შეხვედრა საინტერესო გამოდგა, მასპინძელმა სტუმარი ალერსიანად მიიღო და ყავით გაუმასპინძლდა. საუბრისას კონსტანტინოპოლელმა ფაშამ ბაქ-



ბათუმის პანორამული ხედი – XIX საუკუნის 70-იანი წლები, The Illustrated London News



ბათუმის ბერძნული ეკლესია

რადეს ბათუმში სტუმრობის მიზეზი ჰკითხა, რა-ზეც არქეოლოგმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობამ ჩურჩუქ-სუს (ქობულეთი), აჭარის და ქოროხის ხეობის ძველი ძეგლების შესასწავლად გამოგზავნა და მოგზაურობის დასაწყებად ფაშის დასტური სჭირდებოდა. ეჭვგარეშეა, დიდი გამოცდილების მქონე ფაშისთვის ეს პასუხი დამაჯერებელი არ უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, იმდროინდელ ოსმალეთში ბევრმა იცოდა, რომ რუსეთს დიდი ხანია თვალი ჰქონდა დადგმული ბათუმზე და სათანადო დროს ელოდა, რომ ქალაქი ოსმალეთისთვის წაერთმია. არქეოლოგის პასუხით გაკვირვებულმა ფაშამ სტუმარს შემდეგი კითხვა მიაგება: „მერე, მაქედან რა სარგებლობა გექნებათ?“ ფაშაზე ნაკლები გამოცდილება არც დიმიტრი ბაქრაძეს ჰქონდა და უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობას სურდა გაეგო, აჭარაში არსებულ ძველ ძეგლებზე შემორჩა თუ არა წარწერები და შეიძლებოდა თუ არა იმის გაგება, როდის და ვინ ააშენა ან რაიმე მნიშვნელოვან ამბავს ხომ არ ინახავდა ეს ძეგლები. ცხადია, დიმიტრი ბაქრაძისგან განსხვავებით, რუსეთის მთავრობას დიდად არ ანაღვლებდა ის მიზეზი,



აზოვიის მჩრეთი ბათუმში

რაც არქეოლოგმა უთხრა ფაშას, მაგრამ ოფიციალურად, ქალაქზე, ბაქრაძის მოგზაურობას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია უჭერდა მხარს. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ფაშამ არქეოლოგს პირველივე შეხვედრაზე უარი უთხრა, თუმცა დაჰპირდა, რომ საკითხს ბათუმში რუსეთის ვიცე-კონსულ ჯუდიჩთან განიხილავდა და შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საქმეს ქალაქის მეჯლისის გადასცემდა.

სანამ ფაშა დიმიტრი ბაქრაძეს საბოლოო პასუხს ეტყოდა, მანამდე ამ უკანასკნელს დრო უქმად არ დაუკარგავს და ბათუმის ცხოვრებას გასცნობია. მისი ჩანაწერებიდან ყველაზე საინტერესოც სწორედ ქალაქის აღწერაა.

1873 წლისათვის ბათუმი ლაზისტანის საფაშოს მთავარი ქალაქი იყო. ქალაქს მუთასარიფი, ანუ გუბერნატორი მართავდა, რომელიც ოსმალეთის მთავრობას და ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. საფაშო 11 კაზას, ანუ ოლქს აერთიანებდა, მათ შორის, ბათუმს, ჩურჩუქ-სუს (ქობულეთი), ქვემო აჭარას, ზემო აჭარას, მაჭახელს, ლივანს, ხოფას... თითოეულ ოლქს კაიმაკამი (ოლქის უფროსი) განაგებდა, რომელთაც ხელქვეითებად, მართვაში დამხმარეებად, საშუალოდ 2-3 მუდირი (უზნის უფროსი) ჰყავდათ. ბათუმში იყო მეჯლისი, ანუ საგუბერნიო საბჭო, სასამართლო და საბაჟოს სამმართველო. ამრიგად, ყველა კაზა და ყველა კაზის საქმე საბოლოოდ ბათუმში იყრიდა თავს.

ბათუმი, ბრავიურა 1854 წლის ვრანგული L'illustration Journal Universel-დან



დიმიტრი ბაქრაძის ბათუმში სტუმრობის დროს ქალაქში ერთი თურქული და ერთი ბერძნული სკოლა მოქმედებდა. ფუნქციონირებდა სამი მეჩეთი – აზიზიეს, ახმედიეს და მუფთიეს, ასევე – ერთი ბერძნული ეკლესია, რომელიც 1865-1871 წლებში, ბათუმელი ბერძნების მონდომებით და სულთან აბდულ აზიზის ნებართვით აშენდა. სულთნის გადაწყვეტილებით, მრევლს და ეკლესიას ზარის დარეკვის უფლება არ ჰქონიათ. ქალაქის საუკეთესო ნაწილი ყოფილა ნაემისადგომი, სადაც, ძირითადად, ბერძნების და სომხების მალაზიები მდგარა. გამორჩეულად კარგი შენობა ჰქონია ლაზ მახმუდს, სადაც განყოფილი ყოფილა ევროპულ-თურქული ყაიდის სასტუმრო, შადრევნით, აბანოთი, ყავახანით და საბილიარდოთი.

ქალაქის სანაპიროს თურმე ძველი ქუჩები ეკვროდა, სადაც ადგილობრივი ვრცელი ბაზრები იყო განთავსებული. დიმიტრი ბაქრაძის ჩანაწერების თანხმად, იმდროინდელი ბათუმი 800-ზე მეტ დუქანს ითვლიდა. დუქნების გადაღმა ქალაქის გარეუბანი იწყებოდა, რომელიც ისეთივე კანტიკუნტად დასახლებული ადგილი ყოფილა, როგორც XIX საუკუნის დასაწყისში, დიუპრეს მოგზაურობის დროს.

ბაქრაძის დროინდელ ბათუმში, როგორც თავად ამბობდა, ჰავა შედარებით მოსათმენი იყო, ქალაქის შემოგარენში კი – არც ისე ბევრი ჭაობი. ადამიანი თუ თავს გაუფრთხილებოდა, შეეძლო ცხელების შიშის გარეშე ეცხოვრა. კარგ ჰავასთან ერთად, ქალაქს ჭის კარგი წყალიც ჰქონია. იმდროინდელი ბათუმი გასაყიდ ნაკვეთებად ყოფილა დაყოფილი და მიწის ყიდვის უფლება ყველას ეძლეოდა. მათ რიცხვში იყვნენ უცხოელებიც, მაგრამ მიწების დიდი ნაწილი ლაზებს უკვე შეესყიდათ და ზედ დუქნები და სახლები გაემართათ.

ბაქრაძის ინტერესის მიღმა არც ქალაქის მოსახლეობა დარჩენილა. ყველაზე ხშირად ბათუმს თურმე ლაზები, ქობულეთელები, ასევე ზემო და ქვემო აჭარლები ეტანებოდნენ. ჩაცმულობის მხრივ ყველას ერთნაირად სცმია. ყაბალახი, მოკლე კურტაკი (ზედა ტანსაცმელი), ადგილობრივი წარმოების მაუდის ვინრო შარვალი და წელზე შემოხვეული ფართო სარტყელი. ქალაქის მცხოვრები მამაკაცების აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა იარაღი. ამ მხრივ ძირითადად ადგილობრივი წარმოების თოფები სარგებლობდა მოწონებით. წელზე შემოხვეულ სარტყელში გაჩრილი ჰქონდათ ორღესული ხანჯლები და ინგლისური წარმოების პისტოლეტები, როგორც უწინდელ ბათუმში იტყოდნენ – ფიშტოები. ყველაზე გავრცელებული სალაპარაკო ენა ქართული ყოფილა. ქალაქში ასევე ისმოდა ბერძნული და თურქული ენებიც.

ვაჭრობა, რომელსაც ქალაქი ეწეოდა, არც ისე დიდი, ადგილობრივი მნიშვნელობისა ყოფილა. ბამბის ნაწარმი ინგლისიდან და შვეიცარიიდან შემოდიოდა, აბრეშუმის ქსოვილები – ალ-



ბათუმის კათოლიკური ეკლესია

ბათუმელი ლაზები



პოდან და დამასკოდან, რკინა – რუსეთიდან, ხოლო მატყლი – ყირიმიდან და ჩოლოქის გადაღმა საქართველოდან. სხვადასხვა მხარიდან შემოდის ბათუმში შაქარი, ყავა და პილპილი, ასევე – კალა, ნიშადური და ნაირ-ნაირი სასმელები.

ვაჭრობის მეორე მხარე იყო საქონლის ექსპორტი ბათუმიდან. განსაკუთრებით გადიოდა სიმინდი, ბრინჯი, ყვითელი ცვილი, თევზის ქონი, თაფლი და ხე-ტყე. ბაქრადის თანახმად, ყველაზე გამორჩეული, რაც მაშინდელი ბათუმის შორი-ახლოს ხარობდა, ლიმონი იყო. დიდი მონონებით სარგებლობდა ბათუმური, ქობულეთური და ართვინული აბრეშუმი. კარგი ფასი ჰქონია აქაურ ცვილს, რომელიც ოდესასა და კონსტანტინოპოლში გადიოდა გასაყიდად. საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი ქობულეთური მუხა და აჭარის ბზა.

დიმიტრი ბაქრაძეს ბათუმში ყოფნისას გვერდით ჰყოლიან ბათუმის მეჯლისის უხუცესი წევრი – ხასან-ალა მურადოღლი, რომელიც ამბობდა, რომ მისი წინაპრები წარმოშობით საქართველოდან იყვნენ, ოღონდ დიდი ხნის წინ გადასახლებულან ლაზეთში და ორთახოფელი ლაზი ხასან-ალა, რომელიც ბათუმის მეჯლისის წევრობამდე ოსმალეთის ვიცე-კონსული იყო ფოთში, ხოლო კონსული – თბილისში. ყირიმის ომის დროს იგი თურმე მოხალისე ლაზებს მეთაურობდა ყარსში და როგორც ამბობდა, მისი ძველი გვარი მოურავიშვილი ყოფილა. დიმიტრი ბაქრაძის და ხასან-ალას ურთიერთობა 1860 წლიდან დაწყებული და თავს ერთმანეთის მეგობრებად მიიჩნევდნენ. ბათუმში რუსეთის ვიცე-კონსულ ჯუდიჩთან ერთად, სწორედ ხასან-ალას დამსახურება იყო, რომ დიმიტრი ბაქრაძემ აჭარაში მოგზაურობის ნებართვა მიიღო.



ბათუმი, ზღვის ქვივის გადამტანი შრიკაპი



ბათუმი, სასტუმრო „ზრანცია“

დიმიტრი ბაქრაძემ ბათუმი 1873 წლის 10 აგვისტოს, მზიანი დილის 7 საათზე დატოვა და აჭარის სოფლებსა და ხეობებში თითქმის ორი კვირის მანძილზე იმოგზაურა. ზემო და ქვემო აჭარის მონახულების შემდეგ, მოგზაურობა ჭვანის ხეობის გავლით ქობულეთში დაასრულდა. ამ მოგზაურობის დღიურების კითხვა ერთი დიდი თავგადასავალი და სიამოვნებაა. თუმცა ეს უკვე სულ სხვა ამბავი და ისტორიაა...



ბათუმის პორტი